ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის
ო ქ მ ი №01-06/07

დაბა ქედა, 31 მაისი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 13:45 საათზე

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან 20 ესწრებოდა .

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე.
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/07 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

31 მაისი, 2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის №01-06/07 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის
სამსახურის უფროსი: სულიკო სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის I კვარტლის შესრულების ანგარიში;

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4. მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის
უფროსი: დავით თედორაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის №01-06/07 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს თუ ჰქონდა კომუნიკაცია მერიასთან წინა სხდომაზე დასმულ შეკითხვებთან დაკავშირებით, სოფელ დანდალოში მოედნის რეაბილიტაციასა და სოფელ აგოთაში გზის შეკეთებასთან დაკავშირებით?

ამირან ცინცაძემ კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დანდალოში ერთი მოედნის რეაბილიტაცია დასრულდა და ყველა პროექტი აუცილებლად გაკეთდებოდა.

1. მოისმინეს: ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა სულიკო სურმანიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და განმარტა, რომ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნაში, დანართი №1-ის შესაბამისად ჩამოყალიბდა დადგენილების პროექტის საბოლოო ვერსია (წერილის ნომერი: №დ95.95231161, 26.04.2023 წელი.).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართი №1-ის მე-5 მუხლი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,მუხლი 5. საჯარიმო ქვითრებით – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებით მომარაგება, საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გაცემა, წარმოება და დაბრუნება, მოთხოვნები აღრიცხვის ჟურნალების გაფორმების, წარმოებისა და შენახვისადმი

1. ზედამხედველობის სამსახურის საჯარიმო ქვითრებით – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებით მომარაგება ხორციელდება ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ და ფორმდება სათანადო მიღება-ჩაბარების აქტით.

2. საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა შეიცავს გაყალბებისაგან დამცავ სამ ნიშანს, კერძოდ:

ა) ექსკლუზიური ნუმერაცია, რომელიც ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას;

ბ) ექსკლუზიური რღვეული სიმეტრიის დამცავი ბადე;

გ) ხაზის ნაცვლად გამოყენებულია მიკროტექსტი, სადაც იკითხება: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური.

3. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ საჯარო მოხელეზე, საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაცემა ხორციელდება ზედამხედველობის სამსახურის შესაბამისი პასუხისმგებელი საჯარო მოხელის ან მოხელეების მიერ.

4. საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გაცემა, დაბრუნება და გაუქმება აღირიცხება საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალში (შემდგომში – ჟურნალი).

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჟურნალი იხსნება ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში.

6. ჟურნალის ფურცლები ინომრება რიგითობის მიხედვით. ჟურნალის გარეკანი და ფურცლები უნდა იქნეს ზონარგაყრილი, ამასთან, ზონარის კვანძზე ეკვრება ეტიკეტი, რომელიც მოწმდება ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ხელმოწერით და სამსახურის ბეჭდით.

7. ჟურნალში ყველა ჩანაწერი კეთდება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით.

8. ჟურნალში არ დაიშვება ჩანაწერის გადაფხეკა, ჩასწორება ან ადრე გაკეთებული ჩანაწერების ჩასწორება და მოშორება კორექტორის დახმარებით. აუცილებლობის შემთხვევაში, უხუსტო ჩანაწერი გადაიხაზება ერთი ხაზით ისე, რომ ნათლად ჩანდეს ადრე დაწერილი ტექსტი, ახალი ჩანაწერი კეთდება აღრიცხვის ჟურნალის იმავე გრაფაში, ხოლო გრაფაში „შენიშვნა" აღრიცხვის ჟურნალის მწარმოებელი პასუხისმგებელი საჯარო მოხელე აკეთებს შესაბამის ჩანაწერს.

9. იმ შემთხვევაში, თუ კალენდარული წლის განმავლობაში წარმოებული საქმეების რეგისტრაციისათვის ერთი ჟურნალი აღმოჩნდება არასაკმარისი, იხსნება ახალი ჟურნალი, რომელიც წარმოადგენს პირველის გაგრძელებას.

10. კალენდარული წლის ბოლოს, ჟურნალში საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების რეგისტრაციის შემდეგ, ზედამხედველობის სამსახურის პასუხისმგებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი აკეთებს ჩანაწერს რეგისტრირებული საქმეების საერთო რაოდენობის შესახებ.

11. ჟურნალი ინახება მის წარმოებაზე პასუხისმგებელ ზედამხედველობის სამსახურიში, რომელიც შემდგომში დადგენილი წესით გადაეცემა არქივს.

12. ჟურნალის შენახვის პირობებმა უნდა უზრუნველყოს მისი დაცულობა.

13. ჟურნალი წარმოადგენს შიდა გამოყენების დოკუმენტს და იგი (ან მასში არსებული მონაცემები) არ შეიძლება გაიცეს მესამე პირებზე, გარდა მოქმედი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა."

აზრი გამოთქვეს:

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს შესაძლებელი თუ იყო ჯარიმის დაწერამდე გაფრთხილების მიცემა, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ პირველ რიგში ხდებოდა გაფრთხილება და ორდღიანი ვადის მიცემა შემდეგ საჯარიმო ქვითრის შევსება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, ღამის საათებში სოფელ წონიარისში ორბი ჯგუფის მიერ ხდებოდა ქვიშა-ღორღის გადამუშავება, რომელიც იწვევს ხმაურს, რა შემთხვევაში მოხდებოდა მათი დაჯარიმება?

მომხსენებელმა განმარტა, რომ ჯერ უნდა მოხდეს ხმაურის დონის განსაზღვრა, დღისა და ღამის საათებში საცხოვრებელი სახლების, კერძო საკუთრების, უძრავი ქონების და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტება - გამოიწვევს ფიზიკური/იურიდიული პირის გაფრთხილებას, შემდეგ კი ჯარიმას.

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა მოითხოვა განმარტება რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში თუ ჯარიმის ქვითრის შევსების შემდეგ არ მოხდებოდა თანხის გადახდა?

მომხსენებელმა განმარტა, რომ 30 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი ჩადენილი დარღვევისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს განემარტა, რა თანხები იყო შესული ბიუჯეტში 2022-2023 წლებში ჯარიმის სახით?

სულიკო სურმანიძემ განაცხადა, რომ 2022 წელს სასამართლოს ძალით ამოღებული იყო 7000 ლარი ხოლო 2023 წელს 4000 ლარი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ცვლილების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:დ-95.95231511, 31.05.2023 წელი).

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: N:12-95231221-95, 02.05.2023 წელი) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 26 აპრილის №2608/02 წერილით მოთხოვნილი ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული 5 ერთეული ქონების კერძოდ: ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელ უჩხითში მდებარე 1540 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 21.01.33.443); ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელ აქუცაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 251 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 21.03.35.661); ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელ აქუცაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 253 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 21.03.35.662); ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელ მილისში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 823 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 21.01.33.440); ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელ ტიბეთაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 125 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 21.07.34.796) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა შემდგომში აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით. ასევე განმარტა, რომ სს „აჭარის წყლის ალიანსი"-ს მიერ, გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში და ევროკავშირის დამატებითი დაფინანსებით, მიმდინარეობს აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების გაწმენდის პროგრამა. აღნიშნული ღონისძიებებით დაგეგმილია აჭარის დაბებსა და სოფლებში წყალმომარაგებისა და წყალარინების კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ადმინისტრაციულ საზღვრებში, მათშორის ქედის მუნიციპალიტეტში. რომლის განხორციელების შემდგომ შეიქმნება სტაბილური წყალმომარაგებისა და წყალარინების თანამედროვე, გამართული ინფრასტრუქტურა შემდგომში სათანადო ექსპლუატაციითა და უზრუნველყოფით. აღნიშნული მიზნით დაგეგმილია როგორც აჭარის/სახელმწიფო/მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ ქონებებზე, ასევე დაურეგისტრირებელ და კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე წყალმომარაგებისათვის (წყალამღები, წყლის გამწმენდი, რეზერვუარები და ა. შ.), ასევე წყალარინებისათვის (ჩაშვებული წყლების გამწმენდი) საჭირო ნაგებობებისა და შესაბამისი სანიტარული ზონების მოწყობა.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რომ 2020 წელს ბათუმელებს აქვს სტატია სადაც სს „აჭარის წყლის ალიანსი"-ს მიერ, გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, ასევე ევროკავშირის დამატებითი დაფინანსებით უნდა მომხდარიყო აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყლის გაწმენდის პროგრამა, რომელიც წესით დასრულებული უნდა იყო. ეს პროექტი ეხება სოფელ ტიბეთასაც და მოსახლეობის აზრით საკმარისი წყლის მარაგი არ ექნებათ, მისივე განცხადებით წინა სხდომაზე დააყენა საკითხი კვაშტის წყლის პრობლემის შესახებ, რომელზეც პასუხი არ მიუღია და არც ის სჯეროდა, რომ ეს პროექტი განხორციელდებოდა 2023 წელს და სურვილს გამოთქვამდა როგორც საკრებულოს წევრს მასაც მიეღო მონაწილება პროექტის განხილვაში.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ შეკითხვით მიმართა მომხსენებელს სოფელ აქუცის მიწის ნაკვეთის თაობაზე, თუ რა პროცესი მიმდინარეობდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე მიწის ნაკვეთის გადაცემის შემდგომ და რა ეტაპზე იყო ამჟამად.

საკრებულოს წევრა გოჩა ჟღენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, განემარტათ კონკრეტულად რომელ ტერიტორიაზე იყო საუბარი და აღნიშნული მიწის ნაკვეთის გადაცემა როგორ მოხდებოდა, რადგან მოსახლეობის ნაწილს კერძო საკუთრებაში რეგისტრირებული არ აქვთ.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ სს „აჭარის წყლის ალიანსი" ამ ეტაპზე ახდენს მიწის ნაკვეთების მიღებას და შემდგომში მოხდება დაპროექტება უშულაოდ ინფრასტრუქტურული სამუშაოების, შესაბამისად ეს პროექტების ჯერ არ არის მომზადებული, ხოლო აქუცის მიწის ნაკვეთის გადაცემასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აჭარის არ მიერ იქნა მიწის პვრივატიზაცია განხორციელებული და შესაბამისად პირობების შესრულება/არშესრულებაზეც აჭარის არ რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ზედამხედველობს.

გოჩა ჟღენტის კითხვასთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ ზემოთ ხსენებული პროექტის ფარგლებში იგეგმებოდა როგორც აჭარის/სახელმწიფო/მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ ქონებებზე, ასევე დაურეგისტრირებელ და კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე როგორც წყალმომარაგებისათვის (წყალამღები, წყლის გამწმენდი, რეზერვუარები და ა. შ.), ასევე წყალარინებისათვის (ჩაშვებული წყლების გამწმენდი) საჭირო ნაგებობებისა და შესაბამისი სანიტარული ზონების მოწყობა. პროექტირებისას განხორციელდა საჭირო ტერიტორიების შერჩევა და მისი თქმით, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები კერძო მესაკუთრეებთან და ფაქტიურ მფლობელებთან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 6 (გოჩა ჟღენტი, ჯემალ დავითაძე, შორენა კარანაძე, მინდია არძენაძე, ირაკლი მახარაძე და დავით სირაბიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95231513, 31.05.2023 წელი).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის I კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის I კვარტლის შესრულების ანგარიში. (წერილის ნომერი: N:12-95231222-951, 02.05.2023 წელი) და განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 924 982 ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლისათვის მიღებულია 339 963 ლარის გრანტი, მათ შორის: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 214 333 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 125 630 ლარი, გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 3 476 900 ლარი, მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი 3 481 938 ლარი, ქონების გადასახადი -5 000 ლარი, სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა 117 567 ლარი, მათ შორის: შემოსავლები საკუთრებიდან 54 696 ლარი, საქონელი და მომსახურების რეალიზაციიდან 6 887 ლარი, სანქციები, ჯარიმები და საურავები 7 000 ლარი, ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული 48 891 ლარი.

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 2023 წლის გადასახდელების I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 924 982 ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 808 364 ლარი.

I. <u>წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება</u>

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1 115 650 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 021 375 ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 245 250 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 224 927 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 882 600 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 766 267 ლარი.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის სამსახურის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 31 200 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29 882 ლარი.

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 300 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 300 ლარი.

II. <u>ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</u>

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 22 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 21 401 ლარი, საიდანაც

დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 7 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 402 ლარი;

შპს ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 14 999 ლარი;

საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 395 575 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 367 317 ლარი, მათ შორის:

დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში ორცვასა და არსენაულში სასმელი წყლის სისტემების (შიგა გამანაწილებელი ქსელის, სანიტარული დაცვის ღობის) რეაბილიტაცია 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 215 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 214 333 ლარი;

სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მილების შეძენა 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 30 575 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 30 575 ლარი;

შპს ქედის წყალკანალი 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 150 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 122 409 ლარი;

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 583 050 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 52 823 ლარი, მათ შორის:

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 16 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15 899 ლარი;

სოფელ გარეტყეში სოფლის სახლის მშენებლობა 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 40 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 36 924 ლარი;

დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№13 და №15-ს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 527 050 ლარი;

მუნიციპალური განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯების 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 65 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 56 238 ლარი, მათ შორის:

პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 30 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 24 273 ლარი;

მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 35 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 31 965 ლარი;

შ.პ.ს. ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 106 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 83 842 ლარი;

III. დასუფთავება და გარემოს დაცვა

შპს ქედის კომუნალურსერვისი 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 402 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 340 661 ლარი;

IV. განათლება

სკოლამდელი განათლების დაფინანსება 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 766 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 726 678 ლარი, საიდანაც:

ა.ა.ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 766 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 726 678 ლარი;

V. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 883 550 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 720 004 ლარი, მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 284 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 214 787 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 196 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 129 551 ლარი;

სპორტული ღონისძიების მხარდაჭერა 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 909 ლარი;

საფეხბურთო კლუბის მხარდაჭერი ღონისძიებების 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 30 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 27 382 ლარი;

სარაგბო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებების 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 54 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 53 945 ლარი;

კულტური განვითარების ხელშეწყობა 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 549 050 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 505 217 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 362 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 330 390 ლარი;

ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 70 050 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 66 674 ლარი;

ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 42 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 37 443 ლარი;

კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 9 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 7 347 ლარი;

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში არსებული კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტი 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 65 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 63 362 ლარი;

VI. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 589 657 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 418 026 ლარი, მათ შორის:

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიების 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 234 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 130 401 ლარი, საიდანაც

ამბულატორიული მომსახურეობა 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 38 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 23 474 ლარი;

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობა 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 41 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 29 560 ლარი;

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 24 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 15 600 ლარი;

ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 10 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9 768 ლარი;

მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 120 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 51 998 ლარი;

სოციალური დაცვის ღონისძიებების 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 355 657 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 287 625 ლარი, საიდანაც

სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 8 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5 074 ლარი;

ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 673 ლარი;

ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 39 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 39 000 ლარი;

გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 10 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 8 500 ლარი;

ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 836 ლარი;

სამედიცინო და სოციალური რეგილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეგილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 10 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 7 724 ლარი;

ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამა 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 28 750 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 26 740 ლარი;

შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 45 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 20 400 ლარი;

0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 540 ლარი;

საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 7 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5 655 ლარი;

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 37 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 32 971 ლარი;

მარტოხელა სტატუსის მქონე პირებზე ფინანსური დახმარება 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 20 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 14 000 ლარი;

ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი სერვისების თანადაფინანსება 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 700 ლარი;

ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 47 675 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 42 881 ლარი;

სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგათ დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 73 632 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 73 632 ლარი;

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძის განცხადებით ბიუჯეტის შესრულება იყო 77%, დაახლოებით 1116618 ლარის გამოყენება ვერ მოხერხდა პირველ კვარტალში, ეს ხომ არ იმოქმედებდა სარეზერვო

ფონდიდან სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგათ დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემაზე და თუ ერიცხებოდათ ქირით გაყვანილ ოჯახებს დროულად თანხა.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ყველას ვისაც გაფორმებული ქონდა ხელშეკრულება ჩაერიცხა თანხა.

დავით სირაბიძემ ასევე აღნიშნა, რომ რადგანაც ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტები ვერ შესრულდა, მაგალითად: დანდალოს ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია, რუსთაველის ქუჩის მოწყობა 13 დეკემბერს უნდა დასრულებულიყო, ავტობუსის შესყიდვა, ექსკავატორ-დამტვირთველის შეძენა, სოციალური სახლის პროექტის შესყიდვა, ამიტომ სხდომას ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსიც უნდა ესწრებოდეს განმარტების გასაკეთებლად.

ჯემალ ტაკიძემ აღნიშნულთან დაკავშირებთ განმარტა, რომ დანდალოს ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია შეწყდა, რადგანაც მოხდება პროექტის გადაფასება, რუსთაველის ქუჩაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაახლოებით 20 დღეში დასრულდებოდა, ავტობუსის შეძენა წლის ბოლოს მოხდება ხოლო სოციალური სახლის პროექტის შესყიდვაზე ძალიან მალე გამოცხადდებოდა ტენდერი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 6 (დავით სირაბიძე, მინდია არძენაძე, შორენა კარანაძე, ირაკლი მახარაძე, გოჩა ჟღენტი და ჯემალ დავითაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95231512, 31.05.2023 წელი).

4. მოისმინეს: მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელმა დავით თედორაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში (წერილის ნომერი: N:12-95231446-95, 24.05.2023 წელი) და აღნიშნა, რომ სამსახურის მიერ გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის შესწავლისა და ანაზღაურების მიზნით. მოქმედებდა სულ 20 მიზნობრივი პროგრამა კერძოდ:

1.,,სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა", რომლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 32 000 ლარს. პროგრამა განახორციელა ტენდერში გამარჯვებული ინდ. მეწარმე შ.პ.ს. ,,არსი"2-მა და ისარგებლა 25 მოქალაქემ. სამსახურის მიერ პერიოდულად ხორციელდება მონიტორინგი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით.

2.,,ამბულატორიული მომსახურების პროგრამა'', რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 191 260 ლარს, სადაც გათვალისწინებული იყო მძღოლების ხელფასი, საწვავი, ელექტროენერგიის გადასახადი, ექიმის ჩანთის შევსება და დაზღვევის გადასახადი.

3.,,უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დაკრძალვისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 50 000 ლარს. პროგრამით ისარგებლა 100 ოჯახმა (სარეიტინგო ქულა 100000-ზე ნაკლები) და თითო ოჯახს გაეწია 500 ლარიანი დახმარება.

4.,,ჰემოდიალიზის სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციართა (თანმხლები პირის ერთად) მგზავრობის ღირებულების ანაზღაურების პროგრამა", რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 20 000 ლარს. პროგრამით ისარგებლა 13 მოქალაქემ.

5.,,ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების" პროგრამა რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 78 900 ლარს. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 232 ვეტერანმა.

6.,,ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა", რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 105 000 ლარს. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 66-მა ოჯახმა. თითიეულ ოჯახს გაეწია ფინასური დახმარება 1500 ლარის ოდენობით.

7.,,საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის" მიზნობრივი პროგრამა, ბიუჯეტი შეადგენდა 100 000 ლარს, რომლის მოსახლეობაზე გაცემა მოხდა შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით და ისარგებლა 57-მა ოჯახმა.

8.,,სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების" პროგრამა, რომლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 153 500 ლარს. მოსახლეობას ემსახურებოდა 40 მედდა, რომლებიც აღჭურვილი არიან პირველადი მოხმარების მედიკამენტებითა და დამხმარე საშუალებებით. სისტემატიურად ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი.

9.,,თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის''. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 90 000 ლარს. მობილური გუნდი ყოველთვიურად ადგილზე მისვლით ახდენდა 50-60 ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების მონახულებას, უწევდა მათ შესაბამის მომსახურეობას და სპეციფიკური მედიკამენტების მიწოდებას.

10.,,ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის" პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 14 000 ლარს. ისარგებლა ათმა ბენეფიციარმა. პროგრამა ხორციელდება დახმარების ეროვნული ფონდის თანადაფინანსებით. ბენეფიციარებს მიეწოდებოდათ სამაჯურები (ე.წ განგაშის ზარი) და ხელჯოხები. პროგრამაში ჩართული იყვნენ მოხალისეები და უბნის ექიმები.

11.,,სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა", რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 35 000 ლარს. ისარგებლა 54 ბენეფიციარმა.

12. ,,ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შეძენა", ბიუჯეტი შეადგენდა 270 700 ლარს. აღნიშნული პროგრამით 4 ოჯახს აუშენდა კაპიტალური სახლები.

13. 0-და 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა. პროგრამის ბიუჯეტი 84 000 ლარს შეადგენდა და პროგრამით ისარგებლა 68 ბენეფიციარმა.

14. ,,ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება“ - ბიუჯეტი 105 000 ლარს შეადგენდა, აღნიშნული პროგრამის შესაბამისად 258 ოჯახზე გაცემულია საგარანტიო წერილი მათ მიერ გადასახდელი თანხის დასაფინანსებლად.

15.,,მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა“- ბიუჯეტი შეადგენდა 400 000 ლარს. აღნიშნული პროგრამის საფუძველზე სრულად გაიცა შესაბამისი ვაუჩერები.

16. პროგრამის შესაბამისად მიმდინარეობს მუშაობა წითელი ჯვრის საზოგადოებასა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუზველზე ერთობლივი პროექტის ,,საქმიანობთა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“, რომლის ბიუჯეტი 20 000 ლარს შეადგენდა.

17.,,ქრონიკული საავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა“, რომლის ბიუჯეტი 7 400 ლარს შეადგენდა. პროგრამით ისარგებლა 14-მა ბენეფიციარმა.

18.,,სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება“. პროგრამის ბიუჯეტი 117 600 ლარს შეადგენდა და ისარგებლა 51 ოჯახმა.

19.,,0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება“. აღნიშნული პროგრამა ამოქმედდა 2022 წლის სექტემბრიდან, რომლის ბიუჯეტი 3 600 ლარს შეადგენდა. ისარგებლა ერთმა ოჯახმა, თვეში 600 ლარის ოდენობით.

20. ,,მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებზე ფინანსური დახმარება“- აღნიშნული პროგრამა ამოქმედდა 2022 წლის სექტემბრიდან, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 600 ლარს. ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია ერთი მარტოხელა მშობელი და გათვალისწინებული იყო თვეში 100 ლარის ოდენობით.

სამსახურის მიერ სისტემატიურად ხორციელდება მონიტორინგი თსპ-სა და პჯდ-ის ცენტრებში.

გარდა მერიის პროგრამებისა გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ,,საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამაში“ ჩასართავად შუამდგომლობა გაეწია 14 ოჯახს, ასევე სამთავრობო კომისიაზე განსახილველად შუამდგომლობა გაეწია 1 სახლდამწვარ ოჯახს და მეწყერის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების გამაგრებისათვის ფინანსური დახმარების თაობაზე - 10 ოჯახს.

სულ შემოსულია 251 განცხადება საცხოვრებელი სახლებისა და მიმდებარე ტერიტორიების გეოლოგიურად შესწავლასთან დაკავშირებით. შესწავლილია გეოლოგიური სამსახურის მიერ და წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები, სადაც მითითებულია სხვადასხვა რეკომენდაციები, როგორც ადგილმონაცვლეობა, ასევე საცხოვრებელი სახლის გამაგრება და მიმდებარე ტერიტორიების ფერდსამაგრი კედლის მოწყობა. დასკვნების საფუძველზე ხდება შესაბამისი რეაგირება.

შუამდგომლობა გაეწია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ჯანმრთელობის პრობლემების მქონე 22 მოქალაქეს. ასევე სამსახური შუამდგომლობით შევიდა მუნიციპალიტეტის მერთან 330 მოქალაქეზე სხვადასხვა ოპერაციებისა და მკურნალობის დასაფინანსებლად.

სამსახური ჩართულია სხვადასხვა კუთხით შექმნილი კომისიების მუშაობაში.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ დაინტერესდა, ,,საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის" მიზნობრივი პროგრამა სრულად ფინანსდებოდა თუ ნაწილობრივ? და ,,ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის" პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 14 000 ლარს ბენეფიციარებს მიეწოდებოდათ სამაჯურები, რითაც ხდებაოდა ზარის განხორციელება და ვინ ეხმარებოდა ზარის შემთხვევაში?

მომხსენებელმა კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ .,,საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის" მიზნობრივი პროგრამა ფინანსდებოდა ნაწილობრივ, ხოლო ,,ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის" ვისაც ქონდათ სამაჯურები ზარი შედიოდა 112-ში, ასევე მონიშნული იყო ექთანი და სოფლიში მერის წარმომადგენელი.

საკრებულოს წევრმა შორენა კარანაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ მიმდინარეობდა და რა სტადიაში იყო სოფელ გულების ტერიტორიის შესწავლა და რა დასკვნა დადო გეოლოგიურმა სამსახურმა?

დავით თედორაძემ განმარტა, რომ უხვმა ნალექმა გააქტიურა მეწყერული პროცესები, ამიტომ არ დასრულებულა, მიმდინარეობს სოფელ გულების ტერიტორიის შესწავლა და პირველადი შესწავლით 17 ოჯახი არის საფრთხის წინაშე.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ მოითხოვა განმარტებები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1.,,ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შეძენა"-სთან დაკავშირებით, რატომ არ ხდებოდა სველი წერტილების მოწყობა და თუ იგეგმებოდა პროექტში შეტანა?

2.,,ამბულატორიული მომსახურების პროგრამა'', რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 191 260 ლარს, სადაც გათვალისწინებული იყო მძღოლების ხელფასი, საწვავი, ელექტროენერგიის გადასახადი, ექიმის ჩანთის შევსება და დაზღვევის გადასახადი რატომ არ იზრდებოდა მედდებზე ხელფასი და თუ იგეგმებოდა ხელფასის გაზრდა?

3.,,საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის" მიზნობრივ პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა რომ, მოსახლეობაზე სახურავების გაცემა ხდებოდა პოლიტიკური ნიშნით და ითხოვა ამ კომისიის სხდომაზე დასწრება.

4.,,სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება"-სთან დაკავშირებით რამდენი ოჯახი იყო დღეის მდგომარეობით რეგისტრირებული და რატომ არ მიეცათ ზოიძეების ოჯახს კოკოტაურში 40000 ლარის კომპენსაცია?

მომხსენებელმა აღნიშულ საკითხებზე გააკეთა განმარტება:

1 .,,ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შეძენისას" სველი წერტილების მოწყობა და კანალიზაციის სისტემის გაკეთებას ჭირდებოდა ცალკე პროექტი, რომელიც იწვევდა თანხების ზრდას მაგრამ ფიქრობდა რომ აუცილებელია და შემდეგში იქნებოდა გათვალისწინებული.

2. ამბულატორიებს ჰყავს 40 ექთანი და აუცილებლად მოხდებოდა ხელფასების გაზრდა.

3. ამორტიზირებული სახურავების შეცვლის დროს უპირატესობა ენიჭებოდა საცხოვრებელ სახლებს, რომელიც გადახურული იყო კრამიტით, შიფერით და ჩამოსდიოდა წყალი ამ პრობლემის მქონე მოქალაქეებს უნდა მიემართა მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით, სახურავების გაცემას კომისია ახდენდა აღნიშნული განცხადების შესწავლით და არა პოლიტიკური ნიშნით.

4. სტიქიით დაზარალებული 140 ოჯახია რეგისტრირებული და ზოიძეებს ჩაერიცხებათ 40000 ლარი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 6 (დავით სირაბიძე, მინდია არძენაძე, შორენა კარანაძე, ირაკლი მახარაძე, გოჩა ჟღენტი და ჯემალ დავითაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95231511, 31.05.2023 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 13:45 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **ჰამიდა ზოიძე**